ბულინგისა და შფოთვის ურთიერთკავშირი მოზარდებში

მარიამ ჯარმელიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, კლინიკური ფსიქოლოგია

თემის ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი

ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2022

როგორც წარდგენილი ნაშრომის - ბულინგისა და შფოთვის ურთიერთკავშირი მოზარდებში - ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ჯარმელიშვილი

15.06.2022

მადლობა

მადლობას ვუხდი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ნატა მეფარიშვილს იმ შენიშვნებისა და რეკომენდაციებისთვის, რომლითაც დახმარება გამიწია ნაშრომის შესრულების პროცესში. ასევე მადლობას ვუხდი ყველა მოზარდს, რომელმაც კვლევაში მიიღო მონაწილეობა.

აბსტრაქტი

ბავშვთა და მოზარდთა მიმართ ძალადობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით მაღალი პროცენტული წილით გვხვდება. ძალადობის ერთ-ერთი სახეობაა **„ბულინგი“**, რომელიც ქართულად განიმარტება, როგორც აბუჩად აგდება და დაჩაგვრა. ბულინგი არის არასასურველი და აგრესიული ქცევა, რომელიც უმეტესწილად სკოლის ასაკის ბავშვებში ვლინება, უფრო კონკრეტულად კი მეტი წილი გარდატეხის ასაკზე მოდის. „ბულინგი“ ძალადობის გავრეცელებული რთული და პოტენციურად საზიანო ფორმაა ბავშვებსა და მოზარდებში. ქმედება, რომელიც გულისხმობს სოციალური ძალაუფლების რეალურ ან წარმოსახვით დისბალანსს. ბულინგის დროს ქცევა მეორდება, ან აქვს იმის პოტენციალი, რომ განმეორდეს მომავალში. აქედან გამომდინარე, თვით ბულინგის განმარტება გამორიცხავს შემთხვევით მომხდარი ინციდენტების არსებობას. ბულინგის დროს განხორციელებული ქმედებები მიზნად ისახავს ზიანი მიაყენოს ან დისკომფორტი შეუქმნას მსხვერპლს. ბულინგი რამდენიმე ფორმით ვლინდება. არსებობს ფიზიკური, სიტყვიერი (ემოციური), კიბერბულინგი და სოციალური. გარდა იმისა, რომ ბულინგის ფაქტები უმეტესად ხდება სკოლის შიდა სივრცეებში, საყურადღებოა კიბერბულინგის თემაც, რომლის მასშტაბების გაზრდა, ჩვენს დროში, სოციალური ქსელების პოპულარობამ განაპირობა .

ჩემს სამაგისტრო ნაშრომში ვიკვლიე კავშირი ბულინგსა და შფოთვას შორის, ასევე მაინტერესებდა, ამ ორი ცვლადის მაჩვენებლები მდედრობითი და მამრობითი სქესის მოზარდებს შორის განსხვავდებოდა თუ არა და არსებობდა თუ არა მათ შორის კავშირი. კვლევის შედეგმა სტატისტიკურად უმნიშვნელო ურთიერთკავშირი აჩვენა ბულინგსა და შფოთვას შორის. თუმცა ბულინგის მაჩვენებლის მიხედვით სქესის შედარებისას აღმოჩნდა, რომ მამრობითი სქესის მოზარდები უფრო მეტად იყვნენ ბულინგის მსხვერპლნი, ვიდრე მდედრობითი სქესის წარმომადგენლები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ბულინგი, შფოთვა, გენდერული განსხვავება, კორელაცია, ურთიერთკავშირი.

Abstract

Violence against children and adolescents has a high percentage worldwide. One of the types of violence is "bullying", which is defined in Georgian as abusive and oppressive. Bullying is an unwanted and aggressive behavior that is most common in school-age children, more specifically a larger share before adulthood. Bullying is a complex and potentially harmful form of violence in children and adolescents. An action that implies a real or imagined imbalance of social power. The behavior during bullying is repetitive, or has the potential to be repeated in the future. Therefore, the definition of bullying itself precludes the occurrence of accidental incidents. Actions taken during bullying are intended to cause harm or discomfort to the victim. Bullying manifests itself in several forms. There is physical, verbal (emotional), cyberbullying and social. In addition to the fact that bullying occurs mostly in school interiors, the topic of cyberbullying is also noteworthy, the scale of which has increased, in our time, due to the popularity of social networks.

In my master's thesis, I explored the link between bullying and anxiety, and also wondered if the rates of these two variables differed between female and male adults and whether there was a link between them. The results of the study showed a statistically insignificant relationship between bullying and anxiety. However, when comparing sex according to the bullying rate, it was found that male adolescents were more likely to be bullied than females.

Keywords: bullying, anxiety, gender difference, correlation, relationship.